



4. სააბონენტო მოწყობილობის ყიდვის შემთხვევაში აბონენტი ხელშეკრულების დადებისთანავე იხდის 119 (ას ცხრამეტი) ლარს, ერთი სააბონენტო მოწყობილობისათვის, საიდანაც 16 (თექვსმეტი) ლარი არის Standard პაკეტის საფასური. აბონენტი რომელიც შეიძენს სააბონენტო მოწყობილობას ისარგებლებს Standard პაკეტით.
5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ მის შეწყვეტამდე;
6. „აბონენტის“ მიერ მომსახურების ღირებულება გადაიხდება წინასწარ, მომსახურების მისთვის სასურველ თვეთა რაოდენობის ექვივალენტური ფულადი თანხის „კომპანიაში“ კუთვნილ ბარათზე შეტანის, დეპონირების გზით, რა პერიოდითაც (თვეების შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა;
7. ბარათზე მომსახურების ღირებულების თანხის ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება მომსახურება. აბონენტს მომსახურება შეუწყდება იმ შემთხვევაში თუ იგი არ გადაიხდის მის მიერ არჩეული პაკეტის ღირებულებას. ამავდროულად „აბონენტი“ არ თავისუფლდება ქირის თანხის გადახდისგან (აღნიშნული არ ვრცელდება აბონენტის მიერ სააბონენტო მოწყობილობის ყიდვის შემთხვევაზე);
8. თუ მომსახურების შეზღუდვიდან 120 (ასოცი) დღის მანძილზე აბონენტი არ სარგებლოს მომსახურებით კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რის შესახებაც ვალდებულია „აბონენტს“ ინდივიდუალური შეტყობინება გაუგზავნოს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 10 (ათი) დღით ადრე;
9. მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები ([www.digitaltv.ge](http://www.digitaltv.ge)), წინამდებარე ხელშეკრულება, მისი დანართები, მიღება-ჩაბარების აქტები და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სხვა დოკუმენტები წარმოადგენენ ერთიან ხელშეკრულებას. მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებსა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება მომსახურების სტანდარტულ პირობებს, რომელიც პერიოდულად განახლებადია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე ([www.digitaltv.ge](http://www.digitaltv.ge));
10. აბონენტის იდენტიფიცირების და მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით კომპანია ახორციელებს აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, აბონენტის სახელი, გვარი, პირადი და საკონტაქტო ნომერი, მისამართი, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
11. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებაზე კომპანიის მიერ;
12. კომპანია იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემები დაამუშაოს ხელშეკრულების და მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად;
13. აბონენტს უფლება აქვს კომპანიისათვის მიმართვის გზით ნებისმიერ დროს მოითხოვოს ხელშეკრულების მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, რა დროსაც აბონენტი აცნობიერებს, რომ მისმა ამ ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა;